იდეების კონკურსი ტყის მდგრადი მართვისთვის
განაცხადების მიღება

აღწერა

საპროექტო იდეების კონკურსი ტყის მდგრადი მართვის საკითხებზე პროექტ ECO.Georgia-ს ინიციატივაა. ECO.Georgia საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის პროექტია, რომელიც კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ ფინანსდება და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და საქართველოს მთავრობის მიერ ხორციელდება.

ტყის ეკოსისტემები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სხვადასხვა მიზეზის გამო და მათ სწორ მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტყეები ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, ნახშირბადის შთანთქმას და კლიმატის რეგულირებას, რაც განაპირობებს მათ კრიტიკულ როლს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლასა და ჯანსაღი და სტაბილური გარემოს შენარჩუნებაში. აღნიშნულ მარეგულირებელ ფუნქციებთან ერთად, ტყეები გვაწვდიან ისეთ აუცილებელ რესურსებს, როგორიცაა სუფთა წყალი, მერქანი, სამკურნალო მცენარეები და სხვა არამერქნული პროდუქტები და ხელს უწყობენ ადგილობრივი შემოსავლის წყაროების გაჩენას და ეკონომიკის გაძლიერებას. ამდენად, უმნიშვნელოვანესია ტყეების ისეთი მეთოდებით მოვლა და გამოყენება, რომ მათ შეინარჩუნონ ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, თვითაღდგენის შესაძლებლობა და ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა, რათა, ახლაც და მომავალშიც, შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები, ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. ტყის მოვლა-გამოყენების სწორედ ასეთი მეთოდების ერთობლიობას ეწოდება ტყის მდგრადი მართვა და ის პირდაპირ უწყობს ხელს იმ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობასა და სიძლიერეს, რომელიც, არსებობისათვის და ეკონომიკური შესაძლებლობებისათვის, ტყეებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ტყის ეკოსისტემები და მათი მდგრადი მართვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა როგორც გარემოს, ასევე ადამიანის კეთილდღეობისთვის.

იდეების კონკურსი **დაფინანსებულია შვეიცარიის მთავრობის მიერ** და ემსახურება ადგილობრივ დონეზე, პროექტის 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, ტყის მართვაში ადგილობრივი მოსახლეობის და თვითმმართველობის ჩართულობის გაზრდას.

კონკურსი ემსახურება:

- ტყის მდგრადი მართვიდან მიღებული სარგებლის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას ადგილობრივ თემებში.
- ტყის რესურსებიდან მიღებული სარგებლის უფრო სამართლიან განაწილებას ტყის მართვის ორგანოებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.
- ადგილობრივ მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებს შორის პარტნიორობის დამყარებას და გაძლიერებას.
- ტყის მართვის პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესებას.
- ტყის რესურსების დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ტყის მდგრადი მართვის იდეების კონკურსის **მთავარი პირობაა, რომ იდეები აუცილებლად არაკომერციული ხასიათის უნდა იყოს** და უნდა ემსახურებოდეს, მოცემული თემისთვის, **საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას/გაუმჯობესებას**.
იდეების კონკურსი მოიცავს ECO.Georgia-ს **სამიზნე 8 მუნიციპალიტეტს,** ესენია:

გურია:

- ჩოხატაური
- ლანჩხუთი
- ოზურგეთი

მცხეთა-მთიანეთი:

- თიანეთი

კახეთი:

- თელავი
- ყვარელი
- დედოფლისწყარო
- ახმეტა

პოტენციური თემები

ჩვენ ვეძებთ ინოვაციურ იდეებს მცირე მასშტაბის პროექტებისთვის, რომლებიც ტყეებისა და ტყის რესურსების სიჯანსაღეს და მდგრადობას შეუწყობს ხელს და ამავდროულად,

ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოემსახურება - ხელშესახებ სარგებელს შესთავაზებს ადგილობრივი საზოგადოების წევრებს, და ამ გზით, გააუმჯობესებს ცხოვრების საერთო ხარისხს. შერჩეული პროექტები თემის წევრების, ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლების და ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება, რადგან ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ ერთად შეგვიძლია, მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიოთ.

საპროექტო იდეებისათვის პოტენციური თემებია:

- რეკრეაცია და ეკოტურიზმი
- საძოვრების მდგრადი მართვა
- ტყის მერქნული პროდუქტებით სარგებლობის ოპტიმიზაცია
- ტყის არამერქნული პროდუქტების პოტენციალის ათვისება
- ტყის დაცვის გაძლიერება (როგორიცაა ტყის ხანძრის პრევენცია, შემოღობვა, დაცვა და ა.შ.) და ტყის ფართობების ერთობლივი მართვა
- სატყეო განათლება (მაგ. საბავშვო ბაღებისთვის და/ან სკოლებისთვის)

კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის მიღება და იდეების წარმოდგენა შეუძლიათ:

- ფიზიკურ პირებს
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს
- საინიციატივო ჯგუფებს (მაგ.: საერთო ინტერესის მქონე ჯგუფები, ქალთა ჯგუფები და სხვ.)

ადგილობრივ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიზნით, გვსურს განსაკუთრებით წავახალისოთ ახლად შექმნილი სამოქალაქო ორგანიზაციები და მოვუწოდოთ კონკურსში მონაწილეობისკენ.

გრანტის მოცულობა

თითოეული პროექტისთვის გათვალისწინებულია **10 000 ევრომდე** (ეკვივალენტი ლარში) მოცულობის გრანტი. **აუცილებელი პირობაა**, რომ გრანტის თანხა არ აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 90%-ს. შესაბამისად, მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 10% უნდა დაფაროს გრანტის მიმღებმა, საკუთარი ფულადი ან არაფულადი წვლილით.

შერჩევის პროცესი და განხორციელების ვადები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებისა და GIZ-ის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, სპეციალურად ამ კონკურსისთვის შექმნილი, კომისია, შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე, განიხილავს განაცხადებს და გამოავლენს გამარჯვებულებს.

პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

[1]

განაცხადის შემოტანა

გთხოვთ, შეავსოთ განაცხადის თანდართული ფორმა (**დანართი 1: განაცხადის ფორმა**) და გამოაგზავნოთ შევსებული ფორმა არაუგვიანეს **2023 წლის 30 ნოემბრის 23:59** საათისა, შემდეგ ელ.ფოსტაზე: ECO.Georgia@giz.de

განაცხადის შემოტანასთან დაკავშირებული საკონსულტაციო შეხვედრების განრიგის შესახებ ინფომრაცია გავრცელდება მოგვიანებით. სიახლეებისთვის, გთხოვთ, თვალი ადევნოთ ჩვენს Facebook გვერდს.

წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე, შეკითხვების/დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

ელფოსტა: ECO.Georgia@giz.de

Facebook

ტელ: +995 595 775107

[1] თარიღების ცვლილების შემთხვევაში, ინფორმაცია გავრცელდება შესაბამის პლატფორმებზე.